უფასო

ჩვენი გაზეთი

26 აგვისტო
2019 წელი

№5 (42)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.ჰ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ხარისხოვანი ღვინის წარმოება მცირე წარმადობის მარანში

ტრენინგი განკუთვნილია მცირე (საოჯახო) მარნის მფლობელთათვის, სტარტაპერების, მომავალი მემარნეების, იმ პირთათვის, ვისაც განზრახული აქვს მარნის მოწყობა და ღვინის წარმოება.

მსმენელი მიიღებს სრულ ინფორმაციას ხარისხოვანი ღვინის წარმოების შესახებ. ტრენინგის პროგრამა ითვალისწინებს მემარნისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას. კერძოდ: როგორ გავაუმჯობესოთ მცირე წარმადობის მარნის ღვინის ხარისხი; როგორ დავიცვათ ღვინო ზადისა და ნაკლის განვითარებისაგან; როგორ შევუნარჩუნოთ ღვინოს ყურძნის ჯიშური არომატი; როგორ შევადგინოთ ეტიკეტი; რა რეგულირების სისტემა ეხება ღვინის წარმოებას.

ტრენინგის განმავლობაში განხილული იქნება ღვინის წარმოების თითოეული ტექნოლოგიური ეტაპი. მიღებული ინფორმაცია მემარნეს დაეხმარება ტრადიციებისა და თანამედროვეობის შერწყმით მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოებაში.

ტრენინგი ჩატარდება 30-31 აგვისტოს, 12:00 საათზე, ბაღდათის სამუსიკო სკოლის დარბაზში.

ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- მცირე წარმადობის მარნისათვის საჭირო აპარატები, მოწყობილობები და ჭურჭელი;
- მარნის რეცხვა-სანიტარიზაცია, მომზადება რთველისათვის;
- რთველის დაგეგმვა და ორგანიზაცია;
- გოგირდის დიოქსიდის გამოყენება და მისი თვისებები;
- ალკოჰოლური დუღილის წარმართვა;
- ვაშლ-რძემჟავა დუღილის წარმართვა;
- ღვინის მოვლა-დავარგება დაძველებისას;
- ღვინის სტაბილიზაცია;
- ეტიკეტირება – რა ინფორმაცია უნდა დავიტანოთ ეტიკეტზე.

ტრენინგს გაუძღვება ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ხომასურიძე. იგი ტარდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივითა და მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების ხელშეწყობით.

დანერგე მომავალი

პროექტი „დანერგე მომავალი“ ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

თანადაფინანსება განხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში:

ა) მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში ბაღების კომპონენტი);

ბ) სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში სანერგეების კომპონენტი);

ბაღების კომპონენტი ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას.

მრავალწლიანი კულტურების ბაღების პოტენციალი და გაშენების შესაძლებლობა განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, შესაბამისად, ამ პროგრამაში განსაზღვრულია იმ მრავალწლოვანი კულტურების სახეობები, რომელიც შესაძლებელია გაშენდეს საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში. იმერეთის რეგიონში აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს შემდეგი მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენებას: ლურჯი მოცვი, მაყვალი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, ხურმა, კაკალი, თხილი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (გარდა რქაწითელის ჯიშისა), ლეღვი.

ბაღების კომპონენტიდან ამ ეტაპზე ამოქმედებულია კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისთვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემისა და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების 100% დაფინანსებას 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-ს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე.

აღნიშნული ქვეკომპონენტის ფარგლებში იმერეთის რეგიონში კენკროვანი კულტურებიდან ფინანსდება: ლურჯი მოცვი, მაყვალი და ჟოლო.

ფინანსური დახმარება:

ქვეკომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება ითვალისწინებს მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურის ბაღის გასაშენებლად ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას დაფინანსების სახით მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურების ნერგების, სარწყავი სისტემის მოწყობის ან/და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენის მიზნით.

- დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100%, როგორც ნერგების ადგილობრივ

გაგრძელება მე-2 გვ.

2014-2018 წლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის კუთხით დაფინანსებული საწარმოები და მეტი მეურნეობები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სულ არის 13 კოოპერატივი, რომელთაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი. მათ შორის 4 კოოპერატივი ფუნქციონირებს სოფელ როხში: **„როხი“, „ზეკარი“, „ლოცვა და შრომა“, „როხის სანერგე მეურნეობა“.** მათგან კოოპერატივებმა: „როხი“ და „როხის სანერგე მეურნეობა“ ისარგებლეს **„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის პროგრამით“** და შეღავათიან ფასში შეიძინეს მოტობლოკები, ხოლო კოოპერატივებმა: „ზეკარი“ და „ლოცვა და შრომა“ ისარგებლეს „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით“, რომლის ფარგლებში შეიძინეს სკები 70 %-იანი სახელმწიფო თანადაფინანსებით. **ევროპის სამეზობლო პროგრამა** – ENPARD -ის პროექტის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის 4 კოოპერატივმა მიიღო ტექნიკური დახმარება.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით“ ბაღდათის მუნისიპალიტეტში ისარგებლა 46-მა ბენეფიციარმა, სულ გაცემული თანხა არის 1 900 000 ლარი და 750 000 $. მათ შორის აღსანიშნავია ბაღდათის ღვინის ქარხანა შპს „ბაღდათური“ და „შპს ვარციხის კონიაკის ქარხანა“.

„მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში 2013-2016 წლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მცირე ფერმერებმა 4 300 000 ლარის ჯამური სარგებელი მიიღეს, ხოლო **„გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“** ფარგლებში, სოფელ ვარციხეში გაკეთდა სამაცივრე-სასაწყობო მეურნეობა, სადაც მოხდება მოცვისა და სხვა ხილის დასაწყობება-შენახვა შოკური გაყინვის კამერებში.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაიწყო **სამელიორაციო სიტემების რეაბილიტაცია,** რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა **3 105 070 ლარი.** აქედან, დიდველა-ვარციხის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციაზე – **2 585 440 ლარი;** აფხანაურის სარწყავი სიტემისათვის – **519 630 ლარი**. 2017 წელს ორივე პროექტისათვის დამატებით გამოიყო **969 630 ლარი**.

„მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამით“ მუნიციპალიტეტში მრავალი ბენეფიციარი დაფინანსდა 2015-17 წლებში, პროგრამა გაგრძელდა 2018 წელსაც. პროგრამის აღმოჩენაა ბაია აბულაძე, რომელმაც იმერული ღვინოები გააცნო მთელ საქართველოსა და ევროპის მრავალ ქვეყანას.

უკანასკნელ წლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგროტურიზმს და საოჯახო ღვინის მცირე მეურნეობების განვითარებას. გაკეთდა 10 საოჯახო ღვინის მარანი, სადაც ტრადიციული მეთოდებით მზადდება ქვევრის ღვინოები და თანამედროვე სტანდარტებით ხდება მათი ბოთლებში ჩამოსხმა.

„დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში სოფელ ვარციხეში, ე.წ. „ჭინჭარაულის“ ტერიტორიაზე გაშენდა ქლიავის ბაღები – შპს „ვარციხის პალნტაციების“ მიერ გაშენდა 9 ჰა-ზე და შპს „აბაზ აგრო“-ს მიერ 20 ჰა.

„აგროწარმეობის ხელშეწყობის“ პროგრამით ისარგებლა შპს „მწვანე დღე“-მ, „1 ჰა (სრულად აქვს 3,1 ჰა) სათბურის მოწყობა (წვეთოვანი, დამცავი ბადეები, მულჩი, ვენტილაცია). ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოფელ ვარციხის ტერიტორიაზე 2,5 ჰა მარწყვის ფართობები.

ინფორმაცია მოგვაწოდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ბაღდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრმა.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 1 ᲒᲕ.-ᲖᲔ

ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში. ამავდროულად, განსაზღვრულია თითოეულ ნერგზე დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გასაშენებელი ნერგების რაოდენობა:

თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და 0.5 ჰექტარზე დასარგავი ნერგების რაოდენობა 000000

კულტურა	მაქსიმალური ნერგების ოდენობა (0,5 ჰა-ზე (გაანგარიშებით	-თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა (ლარი) ადგილობრივ ბაზარზე	თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა იმპორტირებულ (აშშ/ევროკავშირი) ერთ ნერგზე ((ლარში	-თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა იმპორტირებულ (სხვა დანარჩენი მსოფლიო) ერთ (ნერგზე (ლარში
ლურჯი მოცვი	500 1	7	8.8	7.8
მაყვალი	250 1	2	3.6	3.1
ჟოლო	350 2	2	3.2	2.5

შენიშვნა: *იმ შემთხვევაში თუ გასაშენებელი ფართობი ნაკლებია ან მეტია 0.5 ჰა-ზე, ნერგების რაოდენობა განისაზღვრება გასაშენებელი ფართობის პირდაპირ პროპორციულად 0.5 ჰა-სთან მიმართებით.*

- დაფინანსდება ერთ ბენეფიციარზე, ფიზიკური პირის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 100%, მაგრამ არაუმეტეს **3 000 ლარი (დღგ-სჩათვლით)**.
- დაფინანსდება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%, განსაზღვრულია თითოეული მასალისათვის მაქსიმალური რაოდენობა:

კენკროვანი კულტურების კომპონენტით დასაფინანსებელი ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ჩამონათვალი 0000000

მასალების ჩამონათვალი:	**შეზღუდვები**
სამულჩე ფირი	**0,5 ჰექტარზე** გაანგარიშებით არაუმეტეს **2 500 მ²**.
შუა ბოძები	**0.5 ჰექტარზე** გაანგარიშებით არაუმეტეს **250 ცალი**.
საყრდენი ბოძები	**0.5 ჰექტარზე** გაანგარიშებით არაუმეტეს **40 ცალი**.
მავთული (მაქს. 2.4 მმ)	**0,5 ჰექტარზე** გაანგარიშებით არაუმეტეს **260 კგ**.
ღუზები	**0.5 ჰექტარზე** გაანგარიშებით არაუმეტეს **40 ცალი**.
საჭიმები	**0.5 ჰექტარზე** გაანგარიშებით არაუმეტეს **160 ცალი**.

ნერგის შეძენა უნდა განხორციელდეს ქვეკომპონენტის ფარგლებში შერჩეული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან. ასევე წვეთოვანი საირიგაციო სისტემისა შეძენა/მონტაჟი და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენა უნდა განხორციელდეს შერჩეული კვალიფიციური კომპანიებისგან.

ტექნიკური დახმარება:

ტექნიკური დახმარება ითვალისწინებს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას იმ პოტენციური ბენეფიციარებისათვის, რომლებიც სრულად წარადგენენ სააგენტოში **პირველ ეტაპზე** წარსადგენ დოკუმენტაციას. ტრენინგების დასრულების შემდგომ ტარდება ტრენინგგავლილი პირების ტესტირება შესწავლილ საკითხებში.

ქვეკომპონენტის ბენეფიციარის შესაბამისობის კრიტერიუმები:

კენკროვანების ქვეკომპონენტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს:

• საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;

• საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი.

ფიზიკური პირის შემთხვევაში:

კენკროვნების ქვეკომპონენტის ამოქმედების თარიღისთვის (2018 წლის 29 მაისი) პოტენციურ ბენეფიციარ ფიზიკურ პირ(ებ)ს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში უნდა გააჩნდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სადაც იგეგმება ქვეკომპონენტის ფარგლებში კენკროვანი კულტურ(ებ)ის ბაღის გაშენება, რომელიც უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული მის საკუთრებად, ამავდროულად, მის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ის ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს.

ფიზიკური პირებისაგან შემდგარ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს, რომლის მეპაიეებს ქვეკომპონენტის ფარგლებში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე დაუფინანსდათ ჯამურად არანაკლებ 5 ჰა კენკროვანი კულტურების ბაღები ერთ მუნიციპალიტეტში, ბაღის მსხმოიარობაში შესვლის პერიოდისათვის უსასყიდლოდ გადაეცემათ ერთი ერთეული მაცივარ-კონტეინერი, რომლის საშუალო ტევადობა იქნება **20 ტონა**.

შეზღუდვა:

ფიზიკური პირ(ებ)ის დაფინანსების შემთხვევაში, საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი, სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურ(ებ)ის ბაღის გაშენება უნდა შეადგენდეს არანაკლებ **0.15 ჰა**-ს, ამავდროულად ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არაუმეტეს **0.5 ჰა**-ის ჩათვლით კენკროვანი კულტურ(ებ)ის ბაღის გაშენების დაფინანსება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში:

დადგენილების ამოქმედების თარიღისთვის **(2018 წლის 29 მაისი)** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემული ორი პირობიდან ერთ-ერთს:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თითოეულ მეპაიეს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **არანაკლებ 0.15 ჰა-დან არაუმეტეს 5 ჰა-ის ჩათვლით**, ამასთან, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ყველა მეპაიეს საკუთრებაში არ ჰქონდეს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.“
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თითოეულ მეპაიეს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **არანაკლებ 0.15 ჰა-დან არაუმეტეს 5 ჰა-ის ჩათვლით**.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელსაც ქვეკომპონენტის პირობების შესაბამისად დაუფინანსდება არანაკლებ **5 ჰა** კენკროვანი კულტურის ბაღი ერთ მუნიციპალიტეტში, სააგენტოს მიერ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო 1 ერთეული სტაციონალური მაცივარ-კონტეინერი, რომლის ტევადობა იქნება საშუალოდ **20 ტონა**.

შეზღუდვები:

„კენკროვანების ქვეკომპონენტის“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დაფინანსების შემთხვევაში:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (რომლის საკუთრებაშია მეპაიეების მიერ პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) მიერ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობი განისაზღვრება თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არაუმეტეს **0,5 ჰ**ა-ის გადაანგარიშებით;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (რომლის მეპაიეებს პაის სახით არ აქვთ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) მიერ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობი განისაზღვრება თითოეული მეპაიის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არაუმეტეს **0,5 ჰა**-ის გადაანგარიშებით;

შენიშვნა: *სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში დასაფინანსებელი ფართობის მაქსიმალური ოდენობა დამოკიდებულია მეპაიეების რაოდენობაზე და არ არის ლიმიტირებული.*

დადგენილების ამოქმედების თარიღისთვის **(2018 წლის 29 მაისი)** მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ფლობის შეზღუდვა არ გავრცელდება იმ პოტენციურ ბენეფიციარზე, რომელიც კენკროვნების ქვეკომპონენტის ამოქმედების შემდგომ პერიოდში მოახდენს მიწის ნაკვეთ(ებ)ის პირველად რეგისტრაციას საკუთრებაში არსებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ან წინამდებარე დადგენილების ამოქმედების თარიღის შემდგომ მემკვიდრეობით მიიღებს ქვეკომპონენტის პირობების შესაბამის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ს ან **0.15 ჰა-დან 5 ჰა-მდე** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ს შეიტანს საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში პაის სახით.

წინაპირობა:

- მიწის ნაკვეთის (სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენება) მიმდებარედ უნდა არსებობდეს ელექტროენერგიის წყარო (**არაუმეტეს 800 მეტრის მანძილზე**), ასევე უნდა ხდებოდეს მისი უზრუნველყოფა წყლის წყაროთი (**არაუმეტეს 500 მეტრის მანძილზე**), როგორიცაა: მოქმედი სარწყავი არხი, მდინარე, ტბა, ჭა ან ჭაბურღილი (კომუნიკაციების მიყვანა მიწის ნაკვეთამდე ბენეფიციარმა უნდა *უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით) ან მიწის ნაკვეთი იყოს წყლით უზრუნველყოფილი;*
- მიწის ნაკვეთზე, სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენება, არ უნდა მდებარეობდეს შენობა ნაგებობები და ნარგავები;
- მიწის ნაკვეთს, სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენება, არ უნდა ედოს ყადაღა.

ქვეკომპონენტში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა 2 ეტაპად უნდა წარადგინოს დოკუმენტაცია.

პირველად განაცხადზე წარსადგენი დოკუმენტების შეგროვების ეტაპები:

1. სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული მრავალწლიანი კულტურისათვის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;

- ზემოთ აღნიშნული ცნობის მისაღებად უნდა მიმართოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ლაბორატორიებიდან ერთ-ერთს ნიადაგის სინჯების ასაღებად და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად:

ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი "ანასეული"
მისამართი: ოზურგეთი, ანასეული, მეცნიერების ქ.№9
ტელ: 790-65-11-15, **ელ. ფოსტა:** zonaluri@mail.ru

მულტიტესტი – კვების პროდუქტების, ნიადაგის წიაღისეულის გამოცდის ქიმიური ლაბორატორია
მისამართი: თბილისი, სოფ. დიღომი, დიდგორის ქ. 13
ტელ: 214 48 48; **ელ. ფოსტა**: multitest@wanex.net

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი
მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240
ტელ: 591 67 68 58 ; 577 11 20 64 **ელ. ფოსტა**: t.urushadze@agruni.edu.ge

დაფინანსების შემთხვევაში მიწის ანალიზისთვის გაწეული ხარჯი ანაზღაურდება.

2. ლაბორატორიის თანამშრომელი იღებს სინჯებს ადგილზე და ახდენს მათ ლაბორატორიულ ანალიზს. ნიადაგის სინჯების აღება უნდა განხორციელდეს ლაბორატორიის თანამშრომლის მიერ. ნიადაგის ანალიზისთვის მოწმდება შემდეგი მახასიათებლები: 1. მექანიკური შედგენილობა 2. ჰუმუსი 3. აზოტი 4. ფოსფორი 5. კალიუმი 6. კათიონების კომპლექსი 7. Ph-ის დონე 8. კარბონატობა 9. EC – მარილიანობა.

3. წარადგენთ მიმართვას (სადაც მითითებულია ბაღში გასაშენებელი კულტურების ჩამონათვალი) და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის შედეგებს სსიპ "სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში" ნიადაგის გასაშენებელ კულტურებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4. სსიპ "სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" ადგენს, ლაბორატორიული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, ნიადაგის გასაშენებელ კულტურებთან შესაბამისობას და გასცემს ცნობას ნიადაგის გასაშენებელ კულტურებთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის შესახებ;

5. მიმართავთ თქვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს მიწის ნაკვეთის წყლის, დენის წყაროთი უზრუნველყოფისა და ნარგავების/ნაგებობების არარსებობის დასადასტურებლად.

6. სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელი გან-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 1 ᲒᲕ.-ᲖᲔ

ახორციელებს ვიზიტს მიწის ნაკვეთზე, შეამოწმებს მიწის ნაკვეთს და კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში, გასცემს ცნობას მიწის ნაკვეთის წყლითა და დანის წყაროთი უზრუნველყოფის შესახებ;

7. შეავსებთ პირველადი განაცხადის სტანდარტულ ფორმას.

8. წარმოადგენთ შევსებულ პირველად განაცხადს და თანმდევ დოკუმენტაციას სააგენტოში. სააგენტო განიხილავს პირველად განაცხადს თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად.

9. პირველადი განაცხადის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროექტის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში პოტენციურ ბენეფიციარს ჩაუტარდება ტრენინგი და ტესტირება შესწავლილ საკითხებში.

მეორად განაცხადზე წარსადგენი დოკუმენტების შეგროვების ეტაპები:

10. ტესტირების წარმატებით გავლის დამადასტურებლად წარადგენთ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს მიერ გაცემულ დოკუმენტს (წერილობითი დასტური ან/და სერთიფიკატი).

11. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა მიწის ნაკვეთის დამუშავების შესახებ:

- მიწის ნაკვეთი უნდა იყოს დამუშავებული, დამუშავების მეთოდოლოგიის დადგენა შესაძლებელია თქვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში;
- მიწის ნაკვეთის დამუშავების შემდგომ მიმართავთ ისევ თქვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს, რომლის წარმომადგენელიც შეამოწმებს მიწის ნაკვეთს და, კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში, გასცემს ცნობას.

12. წარმოადგინეთ ნერგების შესყიდვის ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

13. წარმოადგინეთ შესასყიდი სარწყავი სისტემის (წვეთოვანი ირიგაცია, სპრინკლერ-ირიგაცია) ინვოისები ან ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

14. წარმოადგინეთ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შესყიდვის ინვოისები ან ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

15. შეავსებთ მეორადი განაცხადის სტანდარტულ ფორმას.

16. წარმოადგენთ შევსებულ მეორად განაცხადს და თანმდევ დოკუმენტაციას სააგენტოში.

17. სააგენტო განიხილავს მეორად განაცხადს თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად.

განაცხადის დამტკიცების შემდგომ ფორმდება ხელშეკრულება დაფინანსების შესახებ.

შენიშვნა: სააგენტო უფლებამოსილია, მიზნობრიობის შესრულების დადასტურების მიზნით, ბენეფიციარს მოსთხოვოს სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა.

იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით დასტურდება მიზნობრიობის შესრულება, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ბენეფიციარსა და აუდიტორულ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების (სხვა შესაბამისი დოკუმენტი) საფუძველზე, სააგენტო უზრუნველყოფს აღნიშნული მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს – **300 ლარისა**.

აღნიშნული ქვეკომპონენტის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში 41 ბენეფიციარიდან 26-მა გაიარა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპები და შემოდგომისთვის ისინი მიიღებენ ნერგს, რომელსაც გააშენებენ თავიანთ მიწის ნაკვეთებზე.

გთავაზობთ, ამ ბენეფიციარების სიას:

კოტე მაშანეიშვილი (0.5 ჰა) – ჟოლო;
გაგა ვაშაყმაძე (0.5 ჰა) – ჟოლო;
ვახტანგ ზირაქაძე (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
მზია გრძელიძე (0.2 ჰა) – ჟოლო;
ზურაბ თაბუკაშვილი (0.17 ჰა) – ჟოლო;
ზაალ ზივზივაძე (0.42 ჰა) – ჟოლო;
გოჩა მახათაძე (0.5 ჰა) – ჟოლო;
დავით მამასახლისი (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ზვიად ბურჯანაძე (0.3 ჰა) – ჟოლო;
თორნიკე გაჩეჩილაძე (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
თენგიზ კაპატაძე (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
გიორგი ჭიღლაძე (0.24 ჰა) – ჟოლო;
ელგუჯა ვაჩიბერაძე (ნანული რევიშვილი) (0.2 ჰა) – ლურჯი მოცვი;
თამაზ ტყემალაძე (ფოთოლა გაბუნია) (0.4 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ჯანსუღ მორჩიაშვილი (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
მიხეილ ჯიხვაძე (0.31 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ჯამბულ ხიზანეიშვილი (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ავთანდილ მამისეიშვილი (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ჯემალ ბაქრაძე (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
სოსო ოდიშარია (0.4 ჰა) – ლურჯი მოცვი, ჟოლო;
თამაზ ჭუმბურიძე (0.35 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ნიკოლოზ გამყრელიძე (0.3 ჰა) – ლურჯი მოცვი;
მაია ორმოცაძე (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
თეა ბაქრაძე (0.5 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ირმა ლოლაძე (0.45 ჰა) – ლურჯი მოცვი;
ირინა ღამბაშიძე (0.25 ჰა) – ჟოლო.

პროექტ „დანერგე მომავალის“ ფარგლებში ფერმერს ვაზის გაშენების შესაძლებლობაც ეძლევა. კერძოდ: სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (თეთრყურძნიანი, წითელყურძნიანი). ამ კომპონენტში სახელმწიფო აფინანსებს ნერგების ღირებულების 70%-ს, სარწყავი სისტემის 50%-ს და ვაზის გაშენებისთვის საჭირო მასალების 50%-ს. აღნიშნული კომპონენტი ამჟამად შეჩერებულია და უახლოეს მომავალში ამოქმედდება.

ინფორმაციის წყარო: http://arda.gov.ge/
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

ახალგაზრდა მეწარმე

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა – „ახალგაზრდა მეწარმე“ განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ ბიზნესსაქმიანობის განხორციელება საქართველოში.

პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს და ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით. „ახალგაზრდა მეწარმის“ ფარგლებში მხოლოდ ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო ხარჯები თანადაფინანსდება. პროგრამის მიზნებისათვის ახალი ბიზნესი კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც იწყებს პირი (სააგენტოში განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ გააჩნია მიმდინარე ბიზნესი);
- სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც პირი იწყებს სხვა მუნიციპალიტეტში;
- სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს პირისთვის ახალ ბიზნეს მიმართულებას.

ბენეფიციარის თავსებადობის კრიტერიუმები:

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე, რომლის ასაკი სააგენტოში განაცხადის წარდგენის მომენტისათვის შეადგენს 18-დან 35 წლის ჩათვლით მამაკაცების შემთხვევაში, ხოლო 18-დან 40 წლის ჩათვლით ქალების შემთხვევაში და საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლის დამფუძნებლები/მეპაიეები და გამგეობის თავმჯდომარე/დირექტორ(ებ)ი განაცხადის წარდგენის მომენტში არიან 18-დან 35 წლის ჩათვლით მამაკაცები ან/და 18-დან 40 წლის ჩათვლით ქალები.;

შენიშვნა: პოტენციური ბენეფიციარი შესაძლებელია განაცხადის წარდგენის ეტაპზე არ იყოს რეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ.

- უძრავი ქონება, სადაც ხორციელდება ბიზნესგეგმით გათვალისწინებული თანხის ინვესტირება, უნდა იყოს ბენეფიციარის საკუთრებად რეგისტრირებული სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ან/და მიღებული უნდა ჰქონდეს იჯარით/აღნაგობით (იჯარის/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 წელს. იჯარის/აღნაგობის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“);
- უძრავ ქონებას, სადაც დაგეგმილია ახალი ბიზნესის დაწყება არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების იპოთეკა);
- ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს საგადასახადო დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.

პროგრამა ითვალისწინებს ახალი ბიზნესის დასაწყებად პოტენციური ბენეფიციარისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას, რომელსაც გააჩნია სამი ეტაპი:

- თანადაფინანსების მიღებამდე ტექნიკური დახმარება.
- თანადაფინანსება – ფინანსური დახმარება.
- თანადაფინანსების მიღების შემდგომი ტექნიკური დახმარება.

ფინანსური დახმარება:

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესსაქმიანობა (არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესსაქმიანობაზე გაცემული ჯამური თანადაფინანსება უნდა შეადგენდეს პროგრამით განსაზღვრული თანადაფინანსების ბიუჯეტის არაუმეტეს 20%-ს), რომელსაც გააჩნია ფიქსირებული ადგილმდებარეობა.
- სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს ბიზნეს გეგმაში აღწერილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების 40%-ს, მაგრამ არაუმეტეს 60,000 (სამოცი ათასი) ლარს.
- პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 000 (ათი ათასი) ლარს.

შენიშვნა: 1) სააგენტოს თანადაფინანსება შესაძლოა შეადგენდეს 40%-ზე ნაკლებს იმ შემთხვევაში, თუ პროექტის საინვესტიციო ღირებულება აღემატება 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს. 2) სააგენტოს თანადაფინანსების თანხით დაფინანსებული საქონელი, სამუშაოები და მომსახურება გათავისუფლებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისგან (პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ინვოის(ებ)ი/ხელშეკრულება არ უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს).

ტექნიკური დახმარება:
თანადაფინანსების მიღებამდე
საკონსულტაციო მომსახურება

- პოტენციური ბენეფიციარები მიიღებენ კვალიფიციურ საკონსულტაციო მომსახურებას ბიზნესგეგმების შედგენის მიმართულებით;

საწარმოო პროცესის შეფასება

- ბიზნესგეგმაში საწარმოო პროცესის არსებობის შემთხვევაში დარგობრივი ექსპერტები შეაფასებენ წარდგენილი ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისობას და შეუსაბამობის შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებს როგორც პროცესის მართვასთან, ასევე ბიზნესგეგმით წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით;

ბიზნესგეგმის ღირებულების დაფინანსება

- ბიზნესგეგმის ღირებულების ანაზღაურება მოხდება პროგრამის ბიუჯეტიდან.

თანადაფინანსების შემდგომი

წარმოდგენილი ბიზნესგეგმის დამტკიცების შემდეგ პროგრამის ფარგლებში შერჩეული კვალიფიციური საკონსულტაციო კომპანია ბენეფიციარს დაეხმარება პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ყველა საჭირო ღონისძიებაში:

- თანადაფინანსების ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება;
- წარმოდგენილი ბიზნესიდეის განხორციელების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შედგენა;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ფულადი სახსრების მიზნობრივად გახარჯვის აღრიცხვა და შესაბამისი დოკუმენტაციის ერთ საქაღალდეში თავმოყრა;
- სააღრიცხვო პროგრამის/სისტემის დანერგვა;
- ბიზნესის მართვისათვის საჭირო ტრენინგების ჩატარება.

სააგენტოს თანადაფინანსების თანხით დაფინანსებული საქონელი, სამუშაოები და მომსახურება გათავისუფლებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისგან (პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ინვოის(ებ)ი/ხელშეკრულება არ უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს).

პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი ბიზნესსაქმიანობები:

- ალკოჰოლური სასმელების (გარდა იმ ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობისა, რომელითაც განსაზღვრულია არაუმეტეს 20,000 ბოთლი (15,000 ლიტრი) ღვინის წარმოება) და თამბაქოს წარმოება;
- აზარტული თამაშები;
- სავაჭრო ობიექტი;
- სალომბარდო მომსახურება;
- საიუველირო ნაწარმის დამზადება;
- რესტორნები და კვების ობიექტები;
- ექსტრემალური სპორტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება;

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-4 ᲒᲕ.

• დეველოპერული საქმიანობა (მათ შორის პროგრამული საქმიანობა, შოფტწარე დეველოპმენტი);
• ელექტრონული ბიზნესი;
• სატრანსპორტო მომსახურება;
• სამშენებლო საქმიანობა;
• ჭაბურღილის მოწყობა;
• საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ან/და რემონტი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული სახლი გამოიყენება ტურიზმისათვის);
• მეცხოველეობის/მეფრინველეობის ფერმა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანადაფინანსება გაიცემა ისეთი მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვისა და მეცხოველეობის ფერმის მოსაწყობად, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ გათვალისწინებული პირუტყვის ჯიშებს და მათი შესყიდვის წესს);
• სათბურის მოწყობა / გადაიარაღება;
• სასაკლაოს მოწყობა / გადაიარაღება;
• მრავალწლიანი ბაღების გაშენება (დასაშვებია ვაზის გაშენება, გარდა რქაწითელის ჯიშის ყურძნისა);
• ერთწლიანი კულტურების პირველადი წარმოება;
• მეფუტკრეობა.

საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული შეზღუდვები/პირობები:

• პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო ინვენტარის და/ან ბიზნესადმინისტრირებისთვის საჭირო მშენებლობის მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ჯამური ღირებულების 5%-ს. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსების თანხა არ მოხმარდება ადმინისტრირებისათვის საჭირო ინვენტარის დაფინანსებას;
• წარდგენილ პროექტში საბრუნავი საშუალებების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 20%-ს, რომლის ხარჯვა უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების/შესყიდვის აქტით. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსების თანხა დაიხარჯება მხოლოდ ძირითადი საშუალებების შესაძენად;
• წარდგენილი პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებების შესაძენად/შესაქმნელად გაწეული ხარჯი უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით (მომსახურების შემთხვევაში) ან/და ფორმა №2-ით (მშენებლობის შემთხვევაში);
• პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხების დახარჯვა უნდა განხორციელდეს ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების გზით, რაც უნდა დასტურდებოდეს საგადახდო დავალებით/სალაროს ქვითრით (ჩეკი);
• პოტენციური ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას თუ ფლობს წილს/აქციას/პაის პროგრამის ფარგლებში მისთვის საქართველოში რეგისტრირებულ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ/მშენებლობის შემსრულებელ კომპანიაში.

წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულება შეიძლება მოიცავდეს ყველა ხარჯს, გარდა შემდეგი ხარჯებისა:

• პროექტირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
• უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შესყიდვა;
• დიზაინერული მომსახურება;
• დაზღვევა, მივლინება, ტრენინგი, მარკეტინგი;
• საგანგაშო და ვიდეო-აუდიო სისტემები (გარდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისა);
• სერტიფიცირება და კონსულტირება;
• საკრედიტო და სხვა დავალიანების დაფარვა;
• საწარმოს წილების/აქციების შეძენა;
• სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შეძენა;
• სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;
• ცხოველების/ფრინველების შეძენა (გარდა მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გათვალისწინებული შემთხვევისა).

პოტენციური ბენეფიციარი სააგენტოს თანადაფინანსების მისაღებად გადის შემდეგ ეტაპებს:

1. ვებ გვერდზე რეგისტრაცია

პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირდება ვებ-გვერდზე www.danida.arda.gov.ge

2. განაცხადის შევსება

სრულყოფილად ავსებს განაცხადის ელექტრონულ ფორმას (ფიზიკური პირის შემთხვევაში; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში).

3. განაცხადის განხილვა.

პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ განაცხადს სააგენტო განიხილავს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. ბიზნესგეგმის მომზადება.

პროგრამის ფარგლებში წინასწარ შერჩეული კვალიფიციური საკონსულტაციო კომპანია პოტენციურ ბენეფიციართან შეთანხმებით მოამზადებს წინასწარ შეთანხმებული ფორმატის მიხედვით ბიზნესგეგმას.

5. ბიზნესგეგმის და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა.

პოტენციური ბენეფიციარი საკუთარი მართვის პანელში ახორციელებს ბიზნეს გეგმის, შესაბამისი ექსპერტების დასკვნის და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა ატვირთვას.

შენიშვნა: ბიზნეს გეგმის და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა უნდა განხორციელდეს განაცხადის სტატუსის ცვლილებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში.

6. ბიზნესგეგმის დამტკიცება.

სააგენტო ახორციელებს ბიზნესგეგმისა და თანმდევი დოკუმენტაციის განხილვას და აცნობებს განმცხადებელს გადაწყვეტილების შესახებ.

7. ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა.

ბიზნესგეგმის დამტკიცების შემთხვევაში პოტენციურმა ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაცია.

8. ხელშეკრულების გაფორმება.
9. თანადაფინანსების მიღება.

ინფორმაციის წყარო: http://arda.gov.ge/
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

აგროდაზღვევა

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებასა და რისკების შემცირებას.

პროგრამის განმახორციელებელია ა.(ა).ი.პ. “სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო”. პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

დაინტერესებულ ბენეფიციარებს სადაზღვევო პოლისის შეძენა შეეძლებათ საქართველოში მოქმედ 8 სადაზღვევო კომპანიაში:

• ალდაგი;
• ჯი პი აი ჰოლდინგი;
• სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია;
• არდი;
• ალფა;
• თიბისი დაზღვევა;
• საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი;
• გლობალ ბენეფიტს ჯორჯია.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს:

• სეტყვა;
• წყალდიდობა;
• ქარიშხალი;
• საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) – 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

აგროდაზღვევის 2019 წლის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა -მდე მიწის ნაკვეთი, ხოლო მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰა (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის). თითოეული დამზღვევი 70% -იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50% -ს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე/მოსარგებლეზე გადასახდელი პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს). ამასთან, დამზღვევს შესაძლებელია დაზღვეული ჰქონდეს როგორც მარცვლეული კულტურა, ისე სხვა კულტურები ერთდროულად. პროგრამის მიხედვით განსაზღვრული იქნება ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი.

დასაზღვევად მიიღება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. დამზღვევი ან/და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომელზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი, რეგისტრირებული უნდა იყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

ასევე, გაუმჯობესდა და მაქსიმალურად მოერგო მომხმარებლის მოთხოვნებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის და ფრანშიზის (არანაზღაურებადი მინიმუმის) გამოქვითვის წესი. ერთი და იგივე რისკის ხდომილებისას, იმ შემთხვევაში თუ მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენამდე, ფრანშიზა გამოიქვითება ერთჯერადად მხოლოდ იმ პირობით, რომ მზღვეველს ორივე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებული აქვს ამ პროგრამით განსაზღვრული წესით. მოცდის პერიოდი მოიცავს 4 კალენდარულ დღეს.

სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლის პირობები

დაზღვევის მოქმედების პერიოდში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ მზღვეველის ვალდებულება ძალაში შედის:

ერთწლიან კულტურებთან მიმართებაში – თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და იმყოფება სავეგეტაციო პერიოდის მიწისზედა ორგანოების (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაში და მოქმედებს მოსავლის აღებამდე; სანერგე მასალის (ჩითილი) დარგვის შემთხვევაში — სანერგე მასალის (ჩითილის) ღია გრუნტში გადარგვიდან არაუადრეს 10 კალენდარული დღისა:

• მარცვლეული კულტურები
• პარკოსანი კულტურები
• ბოსტნეული კულტურები
• ბაღჩეული კულტურები

მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში – თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ რაც:

ხილი – დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ს დიამეტრში, გარდა ბლისა, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ-ს დიამეტრში;

კენკროვანი კულტურები — მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე;

ვაზი – გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია);

კაკლოვანი კულტურები – დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ-ს დიამეტრში;

სუბტროპიკული კულტურები – დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ს დიამეტრში;

ციტრუსი – დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ს დიამეტრში.

ინფორმაციის წყარო: http://arda.gov.ge/
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“